განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

# ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანება*

*ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ახალსოფლის საბავშვო ბაღი*

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

**თავმჯდომარე:**

ხარისხის ექსპერტი: *მადონა ქეშიკაშვილი*

**წევრები:**

კურიკულუმის ექსპერტი: *ნუცა გელაშვილი*

კვების დარგში ექსპერტი: *ბესიკ მარგველაშვილი*

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *სოფიო გოხელაშვილი*

# ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| 1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
|---|---|
| სამართლებრივი ფორმა | ა(ა)იპ |
| საფირმო სახელწოდება | *სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანება* |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | **240895992** |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება *(არსებობის შემთხვევაში)* | *ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ახალსოფლის საბავშვო ბაღი* |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| სექტორი | საჯარო |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა |
| **2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ** | |
| იურიდიული მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | ქარელის მუნიციპალიტეტი, ქარელის თამარ მეფის N24 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ახალსოფელი |

| | |
|---|---|
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი *(არსებობის შემთხვევაში)* | |

## 3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒ | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐ |

## 4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი *(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)* | 25/06/2025, MES 8 25 0000745802<br>(ცვლილება - 09/07/2025, MES 7 25 0000845026) |
| ვიზიტის პერიოდი *(თარიღი)* | 2025 წლის 15 - 16 ივლისი |

## 5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)

| წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა | ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა |
|---|---|
| | |

## 6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.

| N | პროგრამის სახე[1] | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)* | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში“ სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში“ | ქართული | | 14<br>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒<br>არ ეთანხმება ☐ |

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

მიმდინარე წლის 15-16 ივლისს განხორციელდა დაგეგმილი ვიზიტი ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ახალსოფლის საბავშვო ბაღში. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისათვის საჭირო მასალებს, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, ასევე, ჩატარდა ინტერვიუები დაწესებულების პერსონალთან. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................

## 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................

# ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **სტანდარტი/კომპონენტი** | **დაწესებულების თვითშეფასება** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** |
| **ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა** | | |
| **1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.1. დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა**[2]<br>***სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა***<br>**ადრეული განათლების კურიკულუმი „ თამაში“;**<br>**სასკოლო მზაობის პროგრამა „ თამაში“;** | | |
| **2. კურიკულუმი** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| | | |
|---|---|---|
| | ☐ **ნაწილობრივ შესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ☐ **ნაწილობრივ შესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **3. ოჯახისა და თემის ჩართულობა** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| **4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა** | **☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| 4.3. მატერიალური რესურსი | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.7.ფინანსური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია
1.2. სტრატეგიული განვითარება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.3. კურიკულუმის  შეფასება და განვითარება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
4.2. პროცესების მართვა
4.3. მატერიალური რესურსი
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
4.7. ფინანსური რესურსი

# 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

## 1.1. დაწესებულების მისია

### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მისია შემდეგი ფორმულირებით: "ჩვენი ბაღის მისიაა შევქმნათ უსაფრთხო, თბილი და განვითარებაზე ორიენტირებული თავისუფალი გარემო, ხელი შევუწყოთ აღსაზრდელებში ისეთი უნარ-ჩვევების ფორმირებას, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდის ჩამოყალიბებას და მომზადებს ბავშვს ცხოვრებისა და სწავლებისათვის".

დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

მისიის ტექსტი გასამართია, იმგვარად რომ ტექსტი იყოს თანმიმდევრული და შინაარსი იკითხებოდეს თავისუფლად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ხედვა შემდეგი ფორმულირებით: "ჩვენი ბაღი, უახლოეს 5 წელიწადში გახდება რეგიონში წარმატებული: კვალიფიცირებული პერსონალით, ინფრასტრუქტურით, ტექნოლოგიით და სკოლამდელი აღზრდის სტანდარტთან შესაბამისი კურიკულუმით".

ღირებულებებად კი განსაზღვრულია: გუნდურობა, პროფესიონალიზმი, ინოვაცია, ღიაობა, ნდობა. ხედვა და ღირებულებები შესაბამისობაშია მისიასთან და განსაზღვრულია მისიიდან გამომდინარე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..............................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..............................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

### 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების მმართველის 2025 წლის N31 ბრძანებით. მოცემული რეგულაციის თანახმად მისია/ხედვა, ღირებულებების შემუშავების პროცესი არის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ნაწილი, ხოლო დაინტერესულ მხარეებად განსაზღვრულია ბაღების და გაერთიანების წარმომადგენლები და ბაღების საკონსულტაციო საბჭო. ამავე რეგულაციის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვა იწყება სამუშო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანებით. დაწესებულებამ წარმოადგინა მოცემული ბრძანება, რომელსაც არ აქვს ნომერი და დათარიღებულია 2023 წლის 10 ოქტომბრით, ამასთან ბრძანებაში მითითებულია რომ მოცემული ჯგუფის შექმნის მიზანია 5 წლიანი სტრატეგიული გეგმის მომზადება, არ არის მითითებული მისია/ხედვა/ღირებულებების შემუშავების მიზანი. დაწესებულებას არ წარმოუდგენია სხვა ბრძანება სამუშო ჯგუფის შექმნის შესახებ, თუმცა წარმოადგინა ოქმი, რომელიც დათარიღებულია 2023 წლის 5 ოქტომბრით და სხდომის განსახილველ საკითხებში მოცემულია სამუშო ჯგუფის შექმნა, თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და მდივნის კანდიდატურების წარდგენა და არჩევა კენჭისყრით. ამავე სხდომაზე ჯგუფმა განსაზღვრა მისია/ხედვა/ღირებულებების ფორმულირებები.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შეუძლებელია დადგინეს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა მისია/ხედვა/ღირებულებების შემუშავების პროცესში. ვინაიდან მარეგულირებელი წესის შექმნამდე (2025 წელი) არის დაწყებული მისია/ხედვა/ღირებულებების შემუშავება (ოქმი, 2023 წ) და პროცესი არათანმიმდევრულია. ამასთან, დაწესებულებას სტარტეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში განსაზღვრული აქვს, რომ სტრატეგიული დაგეგმვა იწყება სამუშო ჯგუფის შექმნით, რომელშიც უნდა მოხდეს დაინტერესებული მხარეების ჩართვა და მოცემული ჯგუფი უნდა შეიქმნას გაერთიანების მმართველის ბრძანებით. მათ შორის ამავე ბრძანებით უნდა განისაზღვროს ჯგუფის თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი, წევრები, შესასრულებელი სამუშაო და უფლებამოსილების ვადა. დაწესებულების მიერ დამტკიცებული რეგულაცია არ ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის, მოადგილის ან წევრების არჩევას კენჭისყრით. დაწესებულების მიერ მისია/ხედვა/ღირებულების შემუშავების პროცესი არათანმიმდევრულია და წინააღმდეგობაში მოდის მის მიერვე განსაზღვრულ რეგულაციასთან. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს პროცესების წარმართვა რეგულაციის შესაბამისად, იმგვარად რომ დაკმაყოფილდეს ინდიკატორის მოთხოვნა.

რჩევა

სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების წესის თავფურცელზე მითითებულია 2025 წლის N31 ბრძანება, ხოლო უშუალოდ ბრძანებაში თარიღი არის 2024 წელი. ასევე, დოკუმენტის ტექსტი არის არათანაბარი ზომის, შინაარსი ზოგიერთ მუხლში გაურკვეველია, ვინაიდან ტექსტი გადაბმულია, არ იკითხება მარტივად. სასურველია დაწესებულებამ აწარმოოს ტექნიკურად გამართული დოკუმენტები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზების გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული მისია/ხედვა/ღირებულებები გაზიარებულია დაწესებულების ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილზე, საინფორმაციო დაფაზე. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად. ამავე მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ საჯაროობის უზრუნველსაყოფად დაწესებულება მისია/ხედვა/ღირებულებებს გამოაქვეყნებს ბაღის ფეისბუქ გვერდზე თუმცა მოცემული ინფორმაცია ფეისბუქ გვერდზე არ იძებნება და შესაბამისად არ არის უზრუნველყოფილი მისია/ხედვა/ღირებულებების საჯაროობა. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული დაგეგმვის რეგულაციის შესაბამისად მისია/ხედვა/ღირებულებების საჯაროდ გამოქვეყნება.

რჩევა

...........................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზების გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. მისია/ხედვა/ღირებულებები;
2. სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების წესი, დამტკიცებული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების მმართველის 2025 წლის N31 ბრძანებით;
3. სამუშო ჯგუფის შექმნის შესახებ 2023 წლის 10 ოქტომბრის ბრძანება
4. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, 2023 წლის 5 ოქტომბერი

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.1. დაწესებულების მისია** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

## 1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალიტეტის გაერთიანების მმართველის 2025 წლის N31 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

## 2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. აღნიშნული დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმით, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების მმართველის 2024 წლის 13 იანვრის, N30 ბრძანებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სტრატეგიული განვითარების გეგმაში დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს არა მხოლოდ მიზნები და ამოცანები, ასევე, აქტივობები. აღსანიშნავია რომ აქტვობები არის სამოქმედო გეგმის შემადგენელი ელემენტი და არა სტრატეგიული გეგმის.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

დაწესებულებამ ავტორიზაციის განცხადში წარმოადგინა ხელნაწერი სამოქმედო გეგმა. სასურველია დაწესებულებამ დოკუმენტები აწარმოოს ბეჭდური სახით, აკადემიური ფორმით და დოკუმენტისთვის საჭირო ყველა რეკვიზიტის მითითებით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. სამოქმედო გეგმის ზოგიერთი კომპონენტი არ არის მითითებული და გამოტოვებულია. ერთმანეთში არეულია მტკიცებულების და განხორციელების გრაფებში ჩასაწერი ინფორმაცია ბაღების ინსტიტუციური განვითარების ნაწილში. ინდიკატორში მითითებულია

პროცენტულობა, მაგალითად "შეძენილია თეთრეული 100 %" თუმცა არსად ფიქსირდება რამდენი თეთრეულის შეძენა აქვს გადაწყვეტილი დაწესებულებას, შესაბამისად ინდიკატორის რაოდენობრივი მაჩვენებელი გაზომვადი არ არის. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის წარმოდგენა იმგვარად, რომ დაკმაყოფილდეს ინდიკატორის მოთხოვნა.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზების გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

## 5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდებაა სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2,5 წელი) და ბოლოს. აღნიშნული ვადები ჯერ არ არის დამდგარი.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი მეთოდოლოგიის მიხედვით ხორციელდება შუალედურ პერიოდში, ხოლო შეფასება წლიურად. მეთოდოლოგია ასევე განსაზღვრავს, რომ სამოქმედო გეგმის შემუშვება ხდება ერთწლიანი პერიოდისთვის და ემთხვევა კალენდარულ წელს, შესაბამისად ამ ეტაპზე მოქმედია 2025 წლის სამოქმედო გეგმა, და შუალედური მონიტორნგის განხორხიელების სავარაუდო პერიოდი არის ივნისის თვე. მეთოდოლოგიის თანახმად მონიტორინგისთვის გამოიყენება ანგარიშების წარდგენის მეთოდი. დაწესებულებას არ წარმოუდგენია მონიტორინგის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს მეთოდოლოგიით გაწერილ ვადებში შესრულების მონიტორინგი.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზების გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ განსაზღვრული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს რეგულაციას რომლის თანახმადაც სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდ უნდა იქნეს ხელმისაწვდომი და განთავსდეს ბაღის ფეისბუქ გვერდზე. ამ ეტაპზე დაწესებულებას მიმდინარე სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შუალედური და საბოლოო შესრულების შედეგები არ აქვს, ვინაიდან სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრული კალენდარული ვადები შესრულების შემოწმებისთვის და ანგარიშების მომზადებისთვის არ დამდგარა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების წესი, დამტკიცებული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების მმართველის 2025 წლის N31 ბრძანებით;
2. 2025 წლის სამოქმედო გეგმა
3. სტრატეგიული განვითარების გეგმა, დამტკიცებული გაერთიანების მმართველის 2024 წლის 13 იანვრის, N30 ბრძანებით

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.2. სტრატეგიული განვითარება** | | | |
| შესაბამება ☐ | მეტწილად შესაბამება ☒ | ნაწილობრივ შესაბამება ☐ | არ შესაბამება ☐ |

## 2. კურიკულუმი [3]

### პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

### კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი „ თამაში“;

სასკოლო მზაობის პროგრამა „ თამაში“;

### 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით დაწესებულებას წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის და დეკლარირების ამსახველი დოკუმენტი კერძოდ, კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი- **ბრძანება N: 1004 10/04/25**; ასევე ბრძანება **N : 1011 10/04/25** კურიკულუმის დამტკიცების შესახებ;

[3] მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს კურიკულუმ(ებ)ით: : „ სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ და „ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის”. თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბრძანებაში N 1011 10.04.25) კურიკულუმის დასახელება იკითხება შემდეგნაირად ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“.

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის **პროცესის** ამსახველი დოკუმენტები/მასალები: კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი- **ბრძანება N: 1004 10/04/25**; სამუშაო ჯგუფის წევრების, თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა **ოქმი N1 07/04/2025**; კურიკულუმის შერჩევისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნის **ბრძანება N:1100 10/04/25**; კურიკულუმის განხილვა და შერჩევა, სამუშაო ჯგუფის შეხვედრის **ოქმი N2 15/04/25**;

დაწესებულება ხელმძღვანელობს შერჩეული კურიკულუმით, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბრძანებაში **N: 1004 10/04/25** იკითხება შემდეგი:-„ ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღებისთვის დამტკიცებული იქნას კურიკულუმის შემუშავების მარეგულირებელი დოკუმენტი.

ინტერვიუზე დაწესებულების ხელმძღვანელმა ისაუბრა, რომ კურიკულუმის შერჩევისათვის წინასწარ განისაზღვრა სამუშაო ჯგუფი, 6 ადამიანის შემადგენლობით. ოფიციალურად ჯგუფის წევრი არ არის თავად , მაგარამ ესწრებოდა ყველა შეხვედრას. ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ და „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ერთხმად შეირჩა ჯგუფის წევრების მიერ.

დაწესებულების მიერ ბრძანებით **N: 1004 10/04/25** დამტკიცებულ მარეგულირებელ წესში იდენტიფიცირებულია კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა, სადაც ერთ-ერთ ჯგუფის წევრად მოიაზრება დაწესებულების ხელმძღვანელი, ხოლო **ბრძანებით ( N:1100 10/04/25 )** განსაზღვრულ სამუშაო ჯგუფში არ იკითხება აღნიშნული პირი. კონკრეტულად, მარეგულირებელ წესში წარმოდგენილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა არ არის თანხვედრაში ბრძანებით განსაზღვრულ სამუშაო ჯგუფის წევრებთან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, კერძოდ შეხვედრის ოქმები ასახავს, რომ კურიკულუმი, რომლითაც ხელმძღვანელობს წინასწარ არის შერჩეულია. ( ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და ოქმში წარმოდგენილი წევრები ერთმანეთთან თანხვედრაშია.)

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

დაწესებულებამ სწორად ასახოს მოცემულ ბრძანებაში **(N: 1004 10/04/25)** მარეგულირებელი დოკუმენტის სახელწოდება; ასევე სასურველია ბრძანებაში **N : 1011 10/04/25** სრულად ასახოს შერჩეული კურიკულუმის დასახელება. დაწესებულებამ ბრძანებით (**N: 1004 10/04/25** ) დამტკიცებულ მარეგულირებელ წესში არ მოახდინოს ჯგუფის წევრების იდენტიფიცირება, ვინც მონაწილეობას იღებს კურიკულუმის შერჩევის

პროცესში. მნიშვნელოვანია, ჯგუფის წევრების მონაცემები და ფუნქციონირება, განსაზღვრული იყოს დაწესებულების ხელმძღვანელი პირის ბრძანებით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შერჩეული და დამტკიცებული (ბრძანება**N: 1004 0/04/25** ) კურიკულუმი/ები რომლითაც ხელმძღვანელობს. კერძოდ, „ადრეული განათლების კურიკულუმი „ თამაში"; სასკოლო მზაობის პროგრამა „ თამაში"; კონკრეტული კურიკულუმი/ები ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას განვითარების ხუთ სფეროსა (ფიზიკური და სენსორული განვითარება, სოციალურ-ემოციური განვითარება, კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება, შემეცნებითი განვითარება, დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება) და სამ მიმართულებაში (ხელოვნება, წიგნიერება, მეცნიერება) ;

კურიკულუმს, „ადრეული განათლების კურიკულუმი-თამაში" ორი მთავარი მიზანი აქვს - ჯგუფის ერთობა და კვლევა-აღოჩენა; კურიკულუმის მიზნები ხელს უწყობს ბავშვებში ისეთი უნარების, ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმატების საწინდარია;
სასკოლო მზაობის პროგრამის ძირითადი მიზნებია: განუვითაროს ბავშვს მომავალი ცხოვრებისათვის, წარმატებულ მოქალაქედ ფორმირებისათვის, მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის საჭირო უნარები; დაეხმაროს ბავშვს საუკეთესო არჩევანის გაკეთებასა და ახალ გამოწვევებთან გამკლავებაში; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში; ხელი შეუწყოს ბავშვის ფიზიკურ და ემოციურ სიჯანსაღეს; მოამზადოს ბავშვი პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის; შეუქმნას ბავშვს პოზიტიური განწყობა სწავლისადმი.

კურიკულუმი/ების მეთოდოლოგია, მიდგომები სრულად ეფუძნება პროგრამის ხარისხის სტანდარტს, რაც ბავშვისთვის განმავითარებელ, უსაფრთხო, პოზიტიურ და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს შექმნას გულისხმობს და ითვალისწინებს სტანდარტის ისეთ მიმართულებებსაც, როგორიცაა – ოჯახის და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება, ინკლუზია, მართვა და შეფასება.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ხელმძრვანელობს შერჩეული კურიკულუმი/ებით „ადრეული განათლების კურიკულუმი „ თამაში"; სასკოლო მზაობის პროგრამა „ თამაში"; კურიკულუმი/ები აღიარებს ბავშვს, როგორც საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესის აქტიურ მონაწილეს; თამაშს და მრავალფეროვან ასაკის შესაბამის გამოცდილებებს, როგორც ბავშვის განვითარების აუცილებელ პირობას; ბავშვების ოჯახებსა და თემთან თანამშრომლობას, როგორც ბავშვებთან შედეგიანი მუშაობის მნიშვნელოვან ელემენტს. კურიკულუმი/ები ბავშვის სხვადასხვა უნარების განვითარებისთვის იყენებს ბავშვზე ორიენტირებულ და თამაშზე დაფუძნებულ მიდგომებს.თამაში ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის **სოციალური და ემოციური განვითარებისთვის.** თამაში იძლევა იმის საშუალებას, რომ ბავშვმა გაიაზროს და უსაფრთხოდ გამოხატოს ძლიერი ემოციები. ერთობლივ წარმოსახვით თამაშს შეუძლია ბავშვებს შორის განსაკუთრებულად ძლიერი კავშირის დამყარებას შეუწყოს ხელი. თამაშის დროს ბავშვებს ბუნებრივად უვითარდებათ **მსხვილი და წვრილი მოტორიკა.** თამაში ხელს უწყობს ბავშვის **კოგნიტურ განვითარებას;** თამაში ავითარებს **მეტყველებისა და კომუნიკაციის** უნარებს. კურიკულუმი ითვალისწინებს ბავშვს როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში, რაც ვლინდება ბავშვის ინტერესების გათვალისწინებაში, ინიციატივის წახალისებაში, თამაშისა და კვლევაზე დაფუძნებული აქტივობების გამოყენებაში, გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაში და აღმზრდელთან/ აღმზრდელ პედაგოგთან , თანატოლებთან , გარემოსთან აქტიურ ურთიერთქმედებაში, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა

და არსებულ გეგმაში ცვლილების შეტანაში. კურიკულუმი ბავშვს აძლევს საშუალებას იყოს შემოქმედებითი, დამოუკიდებელი, ცდებისა და აღმოჩენების გზით შეიძინოს ცოდნა, თავად დააფიქსიროს მოსაზრებები და ჩაერთოს სწავლების პროცესში როგორც თანაავტორი, რაც აძლიერებს მის მოტივაციას, თვითშეფასებასა და ინტერესს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება ხელმძღვანელობს კურიკულუმი/ებით : ადრეული განათლების კურიკულუმი „ თამაში"; სასკოლო მზაობის პროგრამა „ თამაში"; კურიკულუმი/ები ითვალისწინებს ბაღის საგანმანათლებლო პროცესში და პროგრამულ გადაწყვეტილებებში ოჯახების მონაწილეობის ხელშეწყობას; ბავშვების სწავლისა და განვითარების პროცესში ოჯახების უწყვეტ ჩართულობას და მშობელთა განათლებას და ცნობიერების ამაღლებას ადრეული განათლების და ადრეულ ასაკში განვითარების მნიშვნელობასა და თავისებურებებზე. კურიკულუმი/ები მხარს უჭერს ოჯახთან პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბებას; ოჯახის აქტიურ ჩართულობას ბაღის ცხოვრებაში, მათ თანამონაწილეობას საგანმანათლებლო მიზნების განსაზღვრასა და აქტივობების დაგეგმვის პროცესში. კურიკულუმი/ები უზრუნველყოფს ოჯახისა და საგანმანათლებლო დაწესებულების კოორდინირებულ მუშაობას, რაც ხელს უწყობს ბავშვის განვითარების ერთიან და უწყვეტ მხარდაჭერას.
კურიკულუმი/ები ითვალისწინებს თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, როგორც ბავშვის სოციალურ-ემოციური, კულტურული და შემეცნებითი განვითარების მნიშვნელოვან ასპექტს. ბავშვი გარემოსთან ურთიერთობით იძენს რეალურ სოციალურ გამოცდილებას. კურიკულუმი/ები ითვალისწინებს საგანმანათლებლო აქტივობებში თემის რესურსების ინტეგრირებას, ბავშვების ჩართვას თემის ცხოვრებაში და თემის წარმომადგენლების მოწვევას საგანმანათლებლო სივრცეში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება ხელმძრვანელობს შერჩეული კურიკულუმი/ებით: ადრეული განათლების კურიკულუმი „ თამაში"; სასკოლო მზაობის პროგრამა „ თამაში"; კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან საქმიანობებს, ვინაიდან კურიკულუმი ეფუძნება თამაშზე დაფუძნებულ სწავლების პრინციპს, რაც ბავშვს განიხილავს როგორც აქტიურ, შემოქმედებით და თვითგამომხატველს; თამაშის საშუალებით ორგანიზებული მრავალფეროვანი საქმიანობები წარმოადგენს კურიკულუმის განხორციელების ძირითად მექანიზმს. მრავალფეროვანი აქტივობები ვლინდება სხვადასხვა სათამაშო სივრცეებად დაყოფილ გარემოში მაგალითად: დრამატული თამაშების, ხელოვნების, კვლევა-აღმოჩენის, სენსორულ, კუბურების , სამაგიდო თამაშების, წიგნიერების, მოსასვენებელ სივრცესა და წრეზე შეხვედრების სივრცეში. ასევე ისეთი საქმიანობების ინტეგრაციით, როგორიცაა როლური და სიმბოლური თამაშები, შემოქმედებითი საქმიანობები, მოძრაობითი და სენსორული თამაშები, კვლევითი და შემეცნებითი აქტივობები და ა.შ.

კურიკულუმი ითვალისწინებს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს. კურიკულუმში გაწერილი მიზნები და საქმიანობები მორგებულია ბავშვთა ასაკობრივ საჭიროებებს, განვითარებაზე მორგებულ გამოწვევებსა და ინტერესებს. ასაკისა და განვითარების შესაბამისობა ვლინდება მრავალფეროვან აქტივობებში, რომელიც ხელს უწყობს სფეროების განვითარებას ყველა მიმართულებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელ წესში “( ბრძანება N:1004 10/04/25) განსაზღვრული ჰყავს დაინტერესებული მხარეები (მშობლები; დაწესებულების პერსონალი; თემი/მუნიციპალიტეტი); ასევე განსაზღვრული აქვს რა გზებსა და კომუნიკაციის რა საშუალებებს გამოიყენებს კურიკულუმის გასაზიარებლად; **(მუხლი 3. კურიკულუმის გაზიარება:-** დაწესებულება შერჩეულ კურიკულუმს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს; კურიკულუმ(ებ)ის გაზიარებისთვის იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს ); **დაწესებულების მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხებია:** ა) პირისპირ შეხვედრები; ბ)მატერიალური კორესპონდენცია; გ)საინფორმაციო დაფები; დ)მოკლე ტექსტური შეტყობინებები; ე) სატელეფონო ზარები; ვ) ელექტრონული ფოსტა; კ)გაერთიანებაში შემავალი საბ. ბაღების სოციალური მედიის პლათფორმა;( საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი დამტკიცებული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების მმართველის 2025წლის N 1098 ბრძანებით);

დაწესბულების ხელმძღვანელმა ინტერვიუზე აღნიშნა , რომ შექმნა სამუშაო ჯგუფები. გაითვალისწინა ახლო მდებარე ბაღები, მენეჯერების აქტიურობა , გამოცდილება. კონკრეტულ ჯგუფებს დაავალა საბავშვო ბაღებში კურიკულუმის გაზიარება. საბავშვო ბაღის გამგე კი წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა, სადაც გაწერილი აქვს კურიკულუმის გაცნობა/გაზიარება შიდა და გარე აუდიტორიასთან.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ კურიკულუმის გაზიარებისთვის გამოიყენოს მრავალფეროვანი არხები და გზები რაც გაწერილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში. გაზიარების განხორციელება კი დაადასტუროს შესაბამისი მტკიცებულებებით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი- დამტკიცებული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების მმართველის 2025წლის №1004 ბრძანებით;
- ქარელის მუნიციპალური გაერთიანების საბავშვო ბაღებისთვის არჩეული კურიკულუმის დამტკიცების შესახებ ბრძანება N: 1011 0/04/25
- ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“;
- სამუშაო ჯგუფის წევრების, თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა ოქმი N1 07/04/2025;
- კურიკულუმის შერჩევისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N:1100 10/04/25;
- კურიკულუმის შრჩევისთვის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N2 15/04/25; (კურიკულუმის განხილვა და შერჩევა)
- ინტერვიუს საფუძველი;
- საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი დამტკიცებული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების მმართველის 2025წლის N 1098 ბრძანებით);
- საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.1. კურიკულუმის დაგეგმვა** | | | |
| შესაბამება ☒ | მეტწილად შესაბამება ☐ | ნაწილობრივ შესაბამება ☐ | არ შესაბამება ☐ |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

## 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, (დამტკიცებული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების მმართველის 2025 წლის №1097ბრძანებით;), სადაც იკითხება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პერიოდულობა და ხანგრძლივობა; (მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა); 1. საგანმანათლებელო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომ - გეგმა/გეგმები). 2. ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო ქარელის მუნიციპალურ გაერთიანების დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი ყოველკვირეული და გრძელვადიანი (კვარტალური) და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს;

აღნიშნული გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები დამტკიცებულია სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების მმართველის ბრძანებით N: 1126 10/04/25;

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პერსონალმა ინტერვიუზე აღნიშნა, რომ დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში. პირველ რიგში მშობლებთან გამართავს შეხვედრას და ესაუბრება მათი საბავშვო ბაღში ჩართულობის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე შეუქმნის მოტივაციას მშობლებს. უკვე დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისათვის , რაც საკომუნიკაციო გეგმაში აქვთ გაწერილი, აარჩევს დღის ისეთ მონაკვეთს, როცა მშობლებს ექნებათ ჩართვის შესაძლებლობა. მშობლებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია თემებზე და თემატურ მიმართულებებზე, ამისთვის გამოიყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს. თემის ჩართულობისთვის აქტიურად გამოიყენებს თემში არსებულ ადამიანურ რესურსს, მოიწვევს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს , ასევე განახორციელებს ვიზიტს ახლომდებარე დაწესებულებებში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობის წახალისების კუთხით დაწესებულებას შეუძლია ჩაატაროს ღია კარის დღეები, დაწესებულებასი დადგას იდეებისა და შემოთავაზებების ყუთი, მოაწყოს ბავშვებისა და მშობლების საერთო გამოფენა; თემის წარმომადგენლები ჩართოს შემეცნებით აქტივობებში, (ბავშვებს წაუკითხავენ ზღაპრებს, ესაუბრებიან და უჩვენებენ თავიანთ პროფესიებს); ღონისძიებებში მონაწილე პირებისთვის დაამზადოს მადლობის წერილები და ა.შ; სასურველია დაწესებულებას წინასწარ ჰქონდეს ნაფიქრი და გაწერილი როგორ წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში;

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი N: 1098 ბრძანებით დამტკიცებული;

დაწესებულებას კონკრეტული მარეგულირებელი წესით იდენტიფიცირებული აქვს კომუნიკაციის მეთოდები და არხები (მუხლი 4. საკომუნიკაციო არხების შერჩევა )

გაერთიანების მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხებია:

ა) პირისპირ შეხვედრები;

ბ)მატერიალური კორესპონდენცია;

გ)საინფორმაციო დაფები;

დ)მოკლე ტექსტური შეტყობინებები;

ე) სატელეფონო ზარები;

ვ) ელექტრონული ფოსტა;

კ)გაერთიანებაში შემავალი საბ. ბაღების სოციალური მედიის პლათფორმა; (ფეისბუქი)

ლ) სოციალური მედიის დახურული ჯგუფები (მესენჯერი);

საგანმანათლებლო პერსონალმა ინტერვიუზე აღნიშნა, რომ მშობლებთან და თემთან ურთიერთობისთვის გამოიყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს.კერძოდ, რაც გაწერილია მათ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი- დამტკიცებული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების მმართველის 2025წლის N 1098 ბრძანებით;
- ინტერვიუს შედეგები;
- ახალსოფლის საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა;

| შეფასება: *(გთხოვთ, ასახოთ შეფასება. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.)* | | | |
|---|---|---|---|
| **3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

### 3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

## 1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პერსონალმა ( აღმზრდელ პედაგოგმა) ინტერვიუზე აღნიშნა რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ოჯახის ცნობიერების ამაღლებას, კერძოდ დაგეგმილი აქვს ბავშვთა უფლებების შესახებ აქტივობა, რაც ასევე გაწერილი აქვს საკომუნიკაციო გეგმაში; ასევე დაგეგმილი აქვს კურიკულუმის მიზნების გაცნობა, სადაც ასევე ისაუბრებს ბავშვების ასაკობრივ განვითარებაზე სფეროების მიხედვით; ( საკომუნიკაციო გეგმაში იკითხება აქტივობის დასახელება- ბავშვთა უფლებების გაცნობა და კურიკულუმის მიზნების გაცნობა; სამიზნე აუდიტორია -გარე აუდიტორია/მშობლები) ;

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ მშობლების ცნობიერების ამაღლების მიზნით განსაზღვროს დაგეგმილი აქტივობის პერიოდულობა, რათა კონკრეტული აქტივობა იყოს მდგრადი; წინასწარ დაიგეგმოს, განისაზღვროს თემები , ინფორმაციის მიწოდების ფორმები და აისახოს შესაბამის დოკუმენტში . ინდიკატორის შესრულების მტკიცებულებები შესაძლოა იყოს შეხვედრის ამსახველი მასალები, მშობელთა კლუბის ფუნქციონირების ამსახველი მასალები, ოქმები და ა.შ;

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აწარმოებს ბავშვების შეფასებას ( შეფასების მეთოდები წარმოდგენილია 2.2 კომპონენტში) და შეფასების შედეგებს აზიარებს მშობელთან / კანონიერ წარმომადგენელთან,რომელსაც არეგულირებს წესით, „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა, შეფასება და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფა;“

(მუხლი 9. ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა )

< დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას.

< ბავშვის შეფასების შედეგები განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად ; მშობლები ინფორმირებული არიან ბავშვის შეფასების შედეგების შესახებ რაც დასტურდება საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი აქტივობით-„ ბავშვის შეფასების გაცნობა;"

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღმზრდელ-პედაგოგმა ინტერვიუზე აღნიშნა, რომ დაგეგმილი აქვს ვიზიტი სკოლაში, ამბულატორიაში, მაღაზიაში; ასევე კვირის თემის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი პროფესიის ადამიანის ვიზიტს საბავშვო ბაღში; საგანმანათლებლო პერსონალის ინტერვიუს საფუძველზე დაწესებულება გამოიყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

დაწესებულებამ სასურველია დაგეგმილი აქტივობები წინასწარ გაწეროს და ასახოს შესაბამის დოკუმენტაციაში; ასევე ადამიანური რესურსისა და თემში არსებული დაწესებულებების გარდა სასურველია ადგილობრივი/ მეორადი მასალის მოძიებისთვის თემის ჩართულობა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებს

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი , კონკრეტული წესით განსაზღვრავს გახორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმს (მუხლი.6);
მუხლი 6. გახორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა
1. კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისათვის, სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის ეფექტიანობის შესაფასებლად, გაერთიანება იყენებს უკუკავშირის შემდეგ მექანიზმებს:

ა) კითხვარები;
ბ) შენიშვნების/წინადადების ყუთი;
გ) ღია შეხვედრები;
დ) სოციალური მედიის მონიტორინგი;( ფეისბუქი)
ე) ანონიმური შეტყობინებები;
ზ) სამიზნე აუდიტორიისგან უკუკავშირის მიღების სიჩქარის შემოწმება.

დაწესებულების ხელმძღვანელმა ინტერვიუზე აღნიშნა, რომ კურიკულუმის შერჩევის, გაზიარებისა და შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელ წესში გაწერილია კურიკულუმში ცვლილების შეტანა და განვითარება, რაც პირდაპირ კავშირშია კონკრეტული ინდიკტორის მოთხოვნასთან და შეფასებების გამოყენებით, საჭიროებიდნ გამომდინარე განახორციელებს ცვლილებებს ოჯახთან/თემთან განსახორციელებული აქტივობებში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

### რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი- დამტკიცებული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების მმართველის 2025წლის N 1098 ბრძანებით;
- ინტერვიუს შედეგები;
- ახალსოფლის საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა;

| შეფასება: *(გთხოვთ, ასახოთ შეფასება. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.)* | | | |
|---|---|---|---|
| **3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[4]

### 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

### 4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

[4] აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

## 1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ჰყავს პერსონალი რომელიც პასუხისმგებელია მიმდინარე პროცესებზე და უზრუნველყოფს მდგრად ფუნქციონირებას. პერსონალის უფლება-მოვალეობები გაწერილია შინაგანაწესში, პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში, შრომით ხელშეკრულებებში და სამუშაო აღწერილობებში რაც თანდართული აქვს შრომით ხელშეკრულებებს და ხელშეკრულების ტექტის თანახმად წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

დაწესებულებამ წარმოადგინა ორგანოგრამა და ასევე საშტატო ნუსხა თითოეულ პოზიციაზე დასაქმებულთა რაოდენობის მითითებით, დაწესებულებას ჰყავს დირექტორი, მნე, ექთანი, აღმზრდელ პედაგოგი, მუსიკის მასწავლებელი, ფსიქოლოგი, მზარეული, დამლაგებელი, ძიძა-დამლაგებელი და დარაჯი. სულ 10 თანამშრომელი. დაწესებულებას ჰყავს 1 ჯგუფი და ბავშვების ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული აქვს 14 ბავშვი. დაწესებულების შინაგანაწესით დასტურდება ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხი, განსაზღვრულია შესაბამისი პოზიცია და სამუშაო აღწერილობები როგორიცაა ექთანი და ფსიქოლოგი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შინაგანაწესი, სადაც იკითხება პირების/სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, და მოცემული ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. დაწესებულებას ასევე, ფუნქცია მოვალეობები გაწერილი აქვს შრომით ხელშეკრულებებში და მის დანართებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

## 3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ითვალისწინებს საქართველოს კანონს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N478 დადგენილებას „აღმზრდელ პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ და ასევე, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებას „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ“, მუნიციპალიტეტის დადგენილებებს ადამიანური რესურსების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით. დაწესებულებას არ აქვს მითითებული რომელი დადგენილებით ხელმძღვანელობს ასევე, დაწესებულებას არ წარმოუდგენია დამტკიცებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზების გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

## 4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია, რაც დასტურდება წარმოდგენილი სერტიფიკატებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### 4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

## 1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, რაც დასტურდება შინაგანაწესით და პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პერსონალის მართვის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების მმართველის 2025 წლის N1095 ბრძანებით. აღნიშნული რეგულაციის თანახმად დაწესებულების პერსონალის ვაკანტურ პოზიციაზე ინიშნება პირი პირდაპირი დანიშვნის გზით ან ღია/დახურული კონკურსით. პირდაპირი დანიშვნის გამოყენება ხდება გაერთიანების მმართველის გადაწყვეტილებით და შერჩევის დროს დაწესებულება ეყრდნობა ვაკანტური პოზიციის მიმართ დადგენილ სამუშო აღწერილობას. შერჩევის ეტაპზე ტარდება კანდიდატთან გასაუბრება გაერთიანების მმართველის და ბაღის დირექტორის მონაწილეობით. მოცემულ რეგულაციაში დაწესებულებას აღნიშნული აქვს ითვალისწინებს საქართველოს კანონს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N478 დადგენილებას „აღმზრდელ პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ და ასევე, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებას „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ“, მუნიციპალიტეტის დადგენილებებს ადამიანური რესურსების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით. დაწესებულებას არ წარმოუდგენია დამტკიცებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის საფუძველზეც იხელმძღვანელებს ახალი კადრის შერჩევა/დანიშვნის პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს საკვალიფიკააციო მოთხოვნების განსაზღვრა.

რჩევა

დაწესებულება თავისუფალია არჩევანში კონკურსის გზით დანიშნავს თანამშრომლებს თუ პირდაპირი დანიშვნით. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ღია და გამჭვირვალე დასაქმების პოლიტიკისთვის კონკურსის გზით დანიშვნა უკეთესი საშუალებაა დაწესებულებისთვის.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზების გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

## 4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, რაც დასტურდება პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით. მოცემული რეგულაციის მე-12 მუხლით განსაზღვრულია ადაპტაციის მექანიზმები, როგორიცაა: ახალი თანამშრომლისთვის დაწესებულების მისია/ხედვა/ღირებულებების, გუნდის და ბაღის ისტორიის გაცნობა, მატერიალურ-ტექნიკურ აღწურვილობაზე წვდომის უზრუნველყოფა, მენტორინგის სისტემა, უკუკავშირი და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

## 5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში გუნდური მუშაობის პრინციპები მნიშვნელოვანია რაც ასახულია დაწესებულების ღირებულებებში, სამუშო აღწერილობებსა და პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში. ინტერვიუების დროს აღნიშნა არაერთმა პერსონალმა, რომ მათი საქმიანობა ხორციელდება თანამშრომლობით და გამოცდილების ერთმანეთთან გაზიარებით, პერიოდული საერთო შეხვედრებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

## 4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პერსონალის განვითარების დოკუმენტში აღწერილია რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას. საქმიანობის შეფასება ეხება ისეთ ასპექტებს როგორიცაა: უნარები, სამუშაოს შესრულების ხარისხი, მოტივაცია და სხვა. ხოლო საჭიროება მოკვლევა ხდება შემდეგი მეთოდების გამოყენებით: კითხვარი, უშუალო ხელმძღვანელის შეფასება, დაკვირვება, გასაუბრება და სხვა. საქმიანობის შეფასება და მოკვლევა შედგება სამი ეტაპისგან: დაგეგმვა, განხორციელება, შედეგების ანალიზი და ხორციელდება პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, რაც აისახება სამოქმედო გეგმაში განხორციელებისთვის საჭირო ბიუჯეტის მითითებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-13 მუხლით აღწერილია, რომ საჭიროებების მოკვლევის ერთი-ერთი ეტაპია მიღებული შედეგების ანალიზი, ხოლო ამავე რეგულაციის მე-14 მუხლი აღწერს პერსონალის განვითარებისთვის განსაზღვრულ მეთოდებს, როგორიცაა: ტრენინგი, პროექტი, თვითგანვითარება. მოცემული მეთოდები აისახება ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განხორციელებისთვის საჭირო ბიუჯეტის მითითებით. დაწესებულება თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების შესაძლებლობას როგორც დაწესებულების ბაზაზე ასევე, გარე შემოთავაზებული სერვისებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

რეგულაციის ჩანაწერი “თვითგანვითარება” ბუნდოვანია, სასურველია დაწესებულებამ განსაზღვროს კონკრეტული მეთოდი, რომელსაც იყენებს თვითგანვითარებისთვის.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებული და მხარდაჭერილია დაწესებულების მიერ. ინიციტივები შესაძლოა გამოიკვეთოს საჭიროებების კვლევის ან ზეპირსიტყვიერი კომუნიკაციის საშუალებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1.* ორგანოგრამა

2. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი

3. შინაგანაწესი

4.შრომითი ხელშეკრულებები

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.1. პერსონალის მართვა და განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.2. პროცესების მართვა

### 4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

### 1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, რაც დამტკიცებულია სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების მმართველის 2025 წლის 10 აპრილის N1012 ბრძანებით.

მოცემული რეგულაციის თანახმად მმართველობით პროცესებს მიეკუთვნება სტრატეგიული დაგეგმვა და ხარისხის უზრუნველყოფა. ძირითად პროცესებად მოცემულია კურიკულუმის შერჩევა, განხორციელება, შეფასება და განვითარება; საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება; ბავშვების რაოდენობის მართვა (რეგისსტრაცია, ჩარიცხვა, ამორიცხვა); სსსმ ბავშვების მომსახურება; ოჯახთან და თემთან ურთიერთობა. დამხმარე პროცესებად დაწესებულება განიხილავს შემდეგ პროცესებს: ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვა; საქმისწარმოება; პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა; ფინანსური რესურსების მართვა; სანიტარულ-ჰიგიენური პროცესების მართვა; ბავშვთა კვების უზრუნველყოფის პროცესის მართვა; სხვა სერვისები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი ეფუძნება დემინგის PDCA" სქემას. (**P**lan - დაგეგმვა, **D**o - განხორციელება, **C**heck - შემოწმება. **A** - შეფასება). აღნიშნული სისტემა გულისხმობს დაწესებულების თვითშეფასებას და მის გამოყენებას შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით. დაწესებულებას აღწერილი აქვს დონეების მიხედვით რისკ ფაქტორები, განსაზღვრული ჰყავს პროცესების შეფასებასა და მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული დასტურდება სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების მმართველის 2025 წლის 10 აპრილის N1012 ბრძანებით დამტკიცებული პროცესის აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, რაც დასტურდება სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების მმართველის 2025 წლის No1093 ბრძანებით დამტკიცებული ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესით. მოცემული წესი განსაზღვრავს დაწესებულებაში ბავშვის

ჩარიცხვა-ამორიცხვის პრინციპებს, ბავშვის ჩარიცხვის ეტაპებს, პერიოდულობას, ვადებს და განხორციელების ფორმას. ასევე, ბავშვის ამორიცხვას, გადაყვანას, სარეზერვო სიების არსებობას. დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს მოცემული პროცესების წარმართვაზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ბავშვის ჩარიცხვის და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი, რომლის მე-5 მუხლი განსაზღვრავს ბავშვების პირადი საქმეების წარმოების წესს და ადგენს პირადი საქმის შემადგენელ სავალდებულო დოკუმენტებს. ამავე წესის მე-10 მუხლით განსაზღვრულია რომ ბავშვის შესახებ მონაცემების შეგროვება და დამუშავება უნდა მოხდეს "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ' საქართველოს კანონით დადგენილი წესით. დაწესებულებას განსზღვრული ჰყავს ბავშვის პირადი საქმეების შენახვაზე პასუხისმგებელი პირიც.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალურირი გაერთიანების მმართველის 2025 წლის N1095 ბრძანებით. მოცემული წესით განსაზღვრულია პირადი საქმის შემადგენელი სავალდებულო დოკუმენტების ჩამონაათვალი. ასევე, აღნიშნულია რომ პირადი საქმეში არსებული დოკუმენტები დაცულია არასანქცირებული წვდომისგან. პირადი საქმის შემადგენელ დოკუმენტებს ეხება ასევე, შინაგანაწესის მე-4 მუხლი. ვიზიტის დროს პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა რომ პირად საქმეში არ ინახება ყველა დოკუმენტაცია რაც არის განსაზღვრული კანონმდებლობით და ბაღის რეგულაციებით. მაგალითად: პირად საქმეში არ ინახება „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის არ ქონის შესახებ. ასევე, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შრომის შაინგანაწესით, რომ დასაქმებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ და სხვა. მოცემული დოკუმენტები პერსონალის პირად საქმეში არ ინახება. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია
დაწესებულებამ უზრუნველყოს პირადი საქმეების შესაბამისობაში მოყვანა რეგულაციებთან.

რჩევა
დაწესებულებამ უზრუნველყოს შინაგანაწესის და პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესში არსებული სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალის შესაბამისობაში მოყვანა. ასევე, რეგულაციებთან შესაბამისობაში მოიყვანოს იმ პერსონალის პირადი საქმეები, რომლებიც არ წარმოდგენილა ექსპერტთა ჯგუფთან.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზების გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1. პროცესის აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი, დამტკიცებულია სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების მმართველის 2025 წლის 10 აპრილის N1012 ბრძანებით.
2. ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი, დამტკიცებული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების მმართველის 2025 წლის No1093 ბრძანებით
3. შინაგანაწესი
4. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.2 პროცესების მართვა** | | | |
| შეესაბამებ.ა ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.3. მატერიალური რესურსი

### 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი".

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

### 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი".

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

### 4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

## 4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალს გააჩნია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია., რომელიც დასტურდება წარმოდგენილი სერტიფიკატებით. დაწესებულების ტერიტორიაზე მოწყობილია სამედიცინო სივრცე. დაწესებულებას გააჩნია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

დაწესებულებამ წარმოადგინა მის ტერიტორიაზე არსებული მცენარეების შესახებ სია, სადაც მოცემულია მცენარეთა დასახელებები. არ აქვს თანდართული მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად ვერ დგინდება არის თუ არა მოცემული მცენარეები უსაფრთხო ბავშვებისა და პერსონალისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ განსაზღვროს და აღწეროს მცენარეთა მახასიათებლები, რომელიც მოიცავს მონაცემებს პერსონალის/ბავშვის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოების შესახებ.

რჩევა

შესაძლებელია დაწესებულებამ შენობაში და ეზოში/გარე სივრცეში არსებული მცენარეული საფარი აღრიცხოს და შეინახოს ინფორმაცია შესაბამის ინვენტარიზაციის დოკუმენტში. საფრთხის შემცველი მცენარეების არსებობის შემთხვევაში დაწესებულებას მიღებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი გაუვნებლების ზომები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზების გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

## 3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე, რას დასტურდება დაწესულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი ნებართვის ნიმუშით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებვულია.**

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

დაწესებულებამ უზრუნველყოს კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისთვის უსაფრთხოების წესების შემუშავება.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

## 4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

### 1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების გარემო პროგნოზირებადია ბავშვისთვის რაც დასტურდება დაწესებულების შენობაში არსებული სხვადასხვა მინიშნებებით და ვიზუალური გამოსახულებებით. დღის განრიგი გამოკრულია კედელზე ჯგუფურ ოთახებში და აღნიშნულია აქტივობები ბავშვისთვის აღქმადი სიმბოლიკით და ფოტოებით. ბავშვებისთვის დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება დასტურდება ვიზიტის დროს განხორციელებული პერსონალის ინტერვიუებიდანაც. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

### 2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მარეგულირებელ დოკუმენტებში ასახულია ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. ბავშვის შესახებ ინფორმაცია კონფიდერნციალურია და დაწესებულება აღნიშნავს რომ იცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონს. დაწესებულების მიერ შემუშავებული მისია/ხედვა ღირებულებები ორიენტირებულია ბავშვის განვითარებასა და საუკეთესო ინტერესებზე. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ძალადობის ეჭვის შემთხვევაში საჭირო პროცედურები. დაწესებულება ბავშვთა უფლებებს იცავს კურიკულუმის განხორციელების პროცესშიც. კერძოდ, განვითარებაზე ორიენტირებული, არადისკრიმინაციული, ინკლუზიური მიდგომით. ყველა ბავშვს აქვს თანაბარი წვდომა განათლებასა და რესურსებზე, აქვთ თვითგამოხატვისა და თავისუფალი თამაშის უფლება. ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების მმართველის 2025 წლის No1101 ბრძანებით. მოცემული რეგულაციის მე-4 მუხლის თანახმად რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი განისაზღვრება გაერთიანების მმართველის ბრძანებით ინდივიდუალურად, თითოეული საბავშვო ბაღზე. დაწესებულებამ წარმოადგინა ერთიანი ბრძანება რომლითაც განსაზღვრულია რომ ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო ბაღებში ბავშვთა ძალადობის დროს რეფერირებაზე პასუხიმგებელი პირები არიან საბავშვო ბაღის დირექტორი და საბავშვო ბაღის აღმზრდელ პედაგოგი. დაწესებულების მიერ განსაზღვრული რეგულაცია და ბრძანება ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ამასთან ბრძანების ფორმულირებით ვერ ხდება პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს რეგულაცია და ბრძანება, მოახდინოს პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს ინდიკატორის მოთხოვნას.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზების გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## 4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დიდი და მცირე ტრანზიციების წარმართვის ძირითქადი ხერხია არის თამაში/თამაშის ელემენტები. აღმზრდელ პედაგოგმა აღნიშნა რომ აქვთ ბურთები, ემოციების ბარათები , მუსიკის ელემენტები, ვიზუალური ბარათები რასაც გამოიყენებენ დიდ და მცირე ტრანზიციების პროცესში. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას. საბავშვო ბაღში მოსვლამდე იგეგმება მშობლებისა და ბავშვების ვიზიტი საბავშვო ბაღში. პირველ დღეებს ბავშვები მშობლებთან ერთად ატარებენ ბაღში. საგანმანათლებლო პერსონალი ბავშვებს ვიზუალური მასალით (დღის გეგმა) აცნობს ბაღის ყოველდღიურობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

## 5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი მიუთითებს რომ ბავშვების მონაცემების შეგროვება და დამუშვება ხდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში რეფერირების მექანიზმი ასევე, ითვალიწინებს კონფიდენციალურობის დაცვას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

### რჩევა

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
2. მშობლის წერილობითი თანხმობის ფორმა
3. ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი, დამტკიცებული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების მმართველის 2025 წლის No1101 ბრძანებით
4. 2025 წლის 10 აპრილის, N1105 ბრძანება, ბავშვთა ძალადობის დროს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირების დამტკიცების შესახებ
5. ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.7. ფინანსური რესურსი

### 4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

### 1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს ფინანსური რესურსი, ვინაიდან ფინანსდება სახელწიფო ბიუჯეტიდან და ყოველწლიურად განესაზღვრება თანხა საქმიანობისთვის. მოცემული ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

...........................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

...........................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

...........................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................

### 2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვა არ გამოყოფს ცალკე კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევისთვის საჭირო ფინანსურ რესურსებს,. ჩამოთვლილია სხვადქსხვა კატეგორიის ხარჯები და სავარაუდოდ კურიკულუმის მიზნებისთვის ხარჯები გათვალისწინებულია „სხვა საქონელი და მომსახურება“ კატეგორიაში. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ამ კატეგორიაში შეიძლება შევიდეს სხავ ხარჯებიც და რამდენი იქნება კურიკულუმის წილი ბუნდოვანია, შესაბამისად შეუძლებელია დადგინდეს ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს თუ არა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევაას. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფა ბიუჯეტში.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზების გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

## 3. დაწესებულებას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, თუმცა არ წარმოუდგენია რაიმე რეგულაცია, რომლის საფუძველზეც ხდება ფინანსური რესურსების მართვა. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ფინანსური რესურსების მართვის სისტემის შემუშავება, რათა დაკმაყოფილდეს ინდიკატორის მოთხოვნა.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დაფიქსირებულ ხარვეზთან დაკავშირებით, წარმოადგინა დოკუმენტები, რომლებიც შეეხება დაწესებულების ფინანსური რესურსების მართვის საკითხებს. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვა, 2025 წელი
2. ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში
3. 2025 წლის სამოქმედო გეგმა

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.7 ფინანსური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

# ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

| 1. სავალდებულო დანართის დასახელება |
|---|
| ვიზიტის დღის წესრიგი |
| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |
| 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |
| 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |

| დანართის N | 2. სხვა დანართის დასახელება |
|---|---|
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |

**თარიღი** 22/10/2025

| **ხელმომწერი** | **სახელი გვარი** | **ხელმოწერა** |
|---|---|---|
| **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე** | | |
| *ხარისხის ექსპერტი* | მადონა ქეშიკაშვილი | |
| **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები** | | |
| *კურიკულუმის ექსპერტი:* | ნუცა გელაშვილი | |
| *კვების დარგში ექსპერტი:* | ბესიკ მარგველაშვილი | |
| *სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:* | სოფიო გოხელაშვილი | |

## 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

დანართი №1

| | |
|---|---|
| **საფირმო სახელწოდება:** სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანება<br>**პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში):** ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ახალსოფლის საბავშვო ბაღი | **ბრძანების N:** 25/06/2025, MES 8 25 0000745802<br>(ცვლილება - 09/07/2025, MES 7 25 0000845026) |
| **პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი:** ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ახალსოფელი<br>**(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)** | **ვიზიტის თარიღი:** 2025 წლის 15 - 16 ივლისი |

**კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას**

| N | ინდიკატორი | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადით და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | 1. ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია<br>2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან<br>3. დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ |
| 2 | დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |
| 3 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1** | **დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით;** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის თანახმად ბაღის შენობის და ეზოს მესაკუთრეა ქარელის მუნიციპალიტეტი. ბაღს არ წარმოუდგენია რაიმე დოკუმენტი, რომლითაც დასტურება რომ ავტორიზაციის ვადით ბაღის შენობა/ეზო იქნება მის სარგებლობაში. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული. | დაწესებულებამ უზრუნველყოს შენობის/ეზოს სარგებლობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, რომლითაც განსაზღვრულია მინიმუმ ავტორიზაციის ვადით შენობის/ეზოს ბაღის სარგებლობაში ქონა | | დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და რეკომენდაციით გათვალისწინებული დოკუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას. |
| | დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2** | **დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს** | | | | | | | | |
| **2.1.** | დაწესებულებას აქვს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ნებართვა გაიცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.2.** | **მოთხოვნები დაწესებულების შენობა-ნაგებობის მიმართ** | | | | | | | | |
| | დაწესებულება განთავსებულია პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულების შენობა-ნაგებობის მიმართ მოთხოვნები ინდიკატორის შესაბამისია | | | |
| | ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ ან/და მეორე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია:** | | | | | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღია სარეკრეაციო სივრცეები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასკოლო მზაობის ჯგუფ(ებ)ი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე სასკოლო მზაობის ჯგუფების განთავსების შემთხვევაში:** | | | | | | | | |
| | ამავე სართულზე განთავსებულია სანიტარული კვანძ(ებ)ი ბავშვებისათვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მესამე სართულის კიბის უჯრედს კიბის დასაწყისში აქვს დამცავი ბარიერი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.3.** | **დაწესებულებაში, შიდა და გარე ტერიტორიაზე, განთავსებულია შემდეგი სავალდებულო სივრცეები:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახ(ებ)ი ან/და კურიკულუმის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე - საერთო სივრცე, ამასთან ყველა ჯგუფი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური ჯგუფური ოთახით ან კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეული საერთო სივრცით ბავშვზე არანაკლებ 2კვმ. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში | |
| | საძინებელი ოთახი/მოსასვენებელი სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული და სკოლამდელი განათლების პირველი წლის ჯგუფებში საძინებელი სივრცე განთავსებულია იმავე სართულზე, სადაც ჯგუფური ოთახებია | ☑ | | | | | | | |
| | გასახდელი ზონა, რომელშიც გამოყოფილია სივრცე თითოეული ბავშვისთვის პირადი ნივთების შესანახად | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძი ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძი/კაბინა პერსონალისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები (მათ შორის სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის სივრცე სენსო - მოტორული აქტივობებისთვის/ დარბაზი. ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული. | . დაწესებულებამ უზრუნველყოს სივრცის მოწყობა სენსო მოტორული აქტივობებისთვის | აღნიშნულია ხარვეზის გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. | |
| | თუ დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი განთავსებულია ნახევარსარდაფში, აღნიშნული სივრცე უზრუნველყოფილია გათბობის სისტემით და ბუნებრივი განათება-განიავების პირველადი წყაროთი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო მომსახურების სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კვების ბლოკი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სამეურნეო ზონა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | " | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ბავშვების ჯგუფური ოთახ(ებ)ი განთავსებულია პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია სპეციალური სივრცე მეძუძური დედებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა მიზნებისთვის, დაწესებულების პროგრამებში ჩართული ბავშვებისთვის მოწყობილია ინდივიდუალური/იზოლირებული შესასვლელი შენობაში | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, სადაც ამავდროულად ხდება სხვა ტიპის მომსახურების მიწოდება სხვა ასაკის ბავშვებისთვის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფური ოთახები განთავსებულია შენობის პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის პანდუსი ან/და ლიფტი/ბაქან ლიფტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მცირეკონტიგენტიან დაწესებულებაში (არაუმეტეს 2 ჯგუფი/60 ბავშვი) გათბობის წყაროდ გამოყენებულია დახურულ ზედაპირიანი ელექტროგამათბობელი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების შიდა სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, რაც უზრუნველყოფს სივრცეში ბავშვების მარტივ ორიენტაციას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის გამოყენებული აზბესტის შემცველი მასალა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.4.** | **მოთხოვნები სანიტარული კვანძების მოწყობის მიმართ - დაწესებულებას გააჩნია, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი რაოდენობის მოქმედი ტუალეტის კაბინები და ხელსაბანები ბავშვებისთვის და პერსონალისათვის (WASH ინდიკატორი)** | | | | | | | | |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის უნიტაზი - ყოველ 15 ბავშვზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში არ არის ადაპტირებული სანიტარული კვანძი ზრდასრული პირებისთვის. ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული | დაწესებულებამ უზრუნველყოს ადაპტირებული სანიტარული კვანძი ზრდასრული პირებისთვის | | დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზის გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის ხელსაბანი ნიჟარა - ყოველ 20 ბავშვზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის პისუარი - ყოველ 20 ბიჭზე (არსებობის შემთხვევაში) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის ღამის ქოთანი - ყოველ 10 ბავშვზე (არსებობის შემთხვევაში, გარდა სასკოლო მზაობის ჯგუფებისა) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში მოქმედ სანიტარიულ კვანძებში პრივატულობის დაცვის მიზნით: მოწყობილია ტუალეტის კაბინები და ტუალეტის კაბინის კარი იღება გარეთ, აწეულია იატაკის დონიდან და იკეტება შიგნიდან გარედან გაღების შესაძლებლობით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | " |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ბავშვებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ადაპტირებული კაბინების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი)** | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ზრდასრული პირებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი**) | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების სანიტარული კვანძებისა და სამრეცხაოს ფანჯრები არ არის განთავსებული ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის ფანჯრების ქვეშ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.5.** | **მოთხოვნები დაწესებულების ეზოს/გარე სივრცისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ეზო ან/და გარე სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | 1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დგინდება, რომ ბაღის ადმინისტრაციული შენობის და ეზოს ფართი არის ქარელის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. დაწესებულებას არ წამოუდგენია რაიმე დოკუმენტი რომლითაც დასტურდება რომ ახალსოფლის ბაღს აქვს გადაცემული სარგებლობაში მოცემული შენობა და ეზო. ამასთან, შენობა არის ერთიანი და იყენებს როგორც ახალსოფლის ბაღი ასევე, ქარელის | | | 1. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და რეკომენდაციით მოთხოვნილი დოკუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.<br>2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზების გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორებთან მიმართებით. |
| | ეზოს/გარე სივრცის მინიმალური ფართი ერთ ბავშვთან მიმართებაში არის არანაკლებ 3 კვ.მ. (აღნიშნული თანაფარდობა დაცულია იმ შემთხვევაშიც თუ დაწესებულება მდებარეობს სახელმწიფო სარგებლობაში არსებული სარეკრეაციო ზონის ტერიტორიაზე/მომიჯნავედ და იყენებს მას. სარეკრეაციო ზონის კერძო საკუთრებაში არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება/მემორანდუმი სარეკრეაციო ზონის მფლობელთან ტერიტორიის გამოყენებასთან დაკავშირებით) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ეზო/გარე სავრცე შემოფარგლულია არანაკლებ 1,6 მ სიმაღლის მყარი შემოზღუდვით/ღობით. არსებობის შემთხვევაში, ვერტიკალური ღიობები არ აღემატება 0,1 მ-ს. შემოზღუდვას/ღობეს არ აქვს ბასრი კიდეები, წვეტიანი, გამოშვერილი ნაწილები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს მასთან დაჯახების შემთხვევაში. | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | მუნიციპალიტეტი. ეზო გამიჯნულია და აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი ბაღს და მუნიციპალიტეტს, თუმცა ბაღისთვის გამოყოფილი ეზოს ფართი არ არის განსაზღვრული და არ არსებობს რაიმე დოკუმენტი სადაც აღწერილია ეზოს კვადრატულობა რასაც იყენებენ ბავშვები. შეუძლებელია დადგინდეს ეზოს კვადრატულობა ერთ ბავშვთან მიმართებით აკმაყოფილებს თუ არა ინდიკატორის მოთხოვნას. 2. დაწესებულება შემოსაზღვრულია ღობით, რომლის სიმაღლე ძირითად ნაწილში 1,6 მ სიმაღლეს აღემატება, თუმცა შენობის კუთხესთან ეზოს შემოზღუდვა არის 96 სმ სიმაღლის და შესაბამისად | 1. დაწესებულებამ უზრუნველყოს ბაღის ეზოს ფართის აღმწერი დოკუმენტის წარმოდგენა<br>2. დაწესებულებამ უზრუნველყოს ეზოს/გარე სივრცის შემოზღუდვა არანაკლებ 1,6 სმ სიმაღლის ღობით | | " |
| | გარე სივრცედ შენობის სახურავის გამოყენების შემთხვევაში, ყველა სავენტილაციო დგარი დაჯგუფებულია და ცდება სახურავის დონეს არანაკლებ 3მ-ის სიმაღლეზე. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა საქმიანობისთვის, დაწესებულების ეზოში/გარე სივრცეში გამოყოფილია იზოლირებული სივრცე ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.6.** | **ეზოში/გარე სივრცეში განთავსებულია ქვემოთ ჩამოთვლილი სავალდებულო აღჭურვილობა და სივრცეები (შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც ინდივიდუალური, ისე კომბინირებული კონსტრუქცია)** | | | | | | | | |
| | მზისგან და წვიმისაგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულების გარე სივრცეში არის არის სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტოებისთვის; დასაჯდომი მაგიდა; საცოცი/ასაძრომი და გასაძრომი კონსტრუქციები; სივრცე მოწყობილი სენსორული განვითარებისთვის და გარე განათების წყარო | დაწესებულებამ უზრუნველყოს ეზოში სავალდებულო აღწურვილობის და სივრცეების მოწყობა სტანდარტის შესაბამისად | | დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზების გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორებთან მიმართებით.<br>" |
| | სასრიალო | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საქანელა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საქვიშე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტოებისთვის | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | სკამები/ დასაჯდომი და მაგიდა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი და აღჭურვილი დრამატული თამაშებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საცოცი/ასაძრომი და გასაძრომი კონსტრუქციები | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ბალანსის აღჭურვილობა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი სენსორული განვითარებისთვის | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ეზოს/ გარე სივრცის მოწყობილობები ითვალისწინებს ბავშვის ასაკსა და სიმაღლეს, დამზადებულია გლუვზედაპირიანი მასალისაგან, ხოლო კონსტრუქციული გადაწყვეტა უსაფრთხოა გამოყენების დროს, იგი დამაგრებულია მყარად, არ არსებობს ტრამვის საფრთხე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოში/ გარე სივრცეში იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბავშვის გადმოხტომა ან გადმოვარდნა 50 სმ და მეტი სიმაღლიდან, ზედაპირი დაფარულია რბილი საფარით (მაგ. ხის ანათალით, ნახერხით, ბალახის საფარით, ქვიშით, რბილი ხელოვნური ზედაპირით და სხვა.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/გარე სივრცის თავშეყრის ადგილებში (მაგრამ არა ფიზიკური აქტივობის ზონებში) გამოყენებულია მოცურების საწინააღმდეგო ზედაპირი, რომელიც ამ თვისებას დასველების შემთხვევაშიც ინარჩუნებს (დასაშვებია - ასფალტი, დაღერღილი ქვა, ხაოიანი ზედაპირის კერამიკული ფილები და მათი ანალოგი. აკრძალულია შემდეგი ტიპის ზედაპირის გამოყენება - პრიალა ქვის ფილები, ბეტონი, მახვილკიდეებიანი ფილები, უხეში ღორღი. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/ გარე სივრცის ტერიტორიაზე არის განათების წყარო, რაც უზრუნველყოფს შენობამდე დაუბრკოლებლად მისვლას | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| **2.7.** | **მოთხოვნები ფიზიკური უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით** | | | | | | | | |
| | **ფანჯრების და მინის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | მინის ტიხრები და კედლები, ასევე შიდა კარები, რომელიც ნაწილობრივ შემინულია, უნდა დამზადდეს მსხვრევის საწინააღმდეგო ფირით დაფარული ან ნაწრთობი მინისგან ან ისეთი ტექნოლოგიით, რომ დამსხვრევის შემთხვევაში არ შეუქმნას საფრთხე ადამიანის უსაფრთხოებას. (თუ შემინული კედელი ბავშვისთვის მისაწვდომი არ არის, მაშინ მინის საგანგებოდ შერჩევის საჭიროება არ არსებობს.) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | 1. დაწესეულების ტერიტორიაზე არის მინის კარები როგორც შიდა სივრცეში, ასევე შენობაში შესასვლელი კარი არის სრულად მინის და მარკირების გარეშე. დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტები, რომლის თანახმად მინები დაფარულია ფირით, თუმცა მოცემული შესყიდვის დოკუმენტი და მიღება-ჩაბარების აქტი არ განსაზღვრავს მინის დასაფირი ფირის ტექნიკურ მახასიათებლებს და უსაფრთხოების საკითხებს. არ არის მითითებული რაიმე ტექნიკური ინფორმაცია მინის ფირების შესახებ. შესაბამისად უზრუნველყოფს თუ არა მოცემული ფირები მინის დამსხვრევის შემთხვევაში ადამიანის უსაფრთხოებას ვერ დგინდება. ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.<br>2. ფანჯრებზე მოწყობილია სტანდარტის შესაბამისად დამცავი ბადეები, თუმცა არ არის დამონტაჟებული ჩაჭრის მექანიზმები. | 1. დაწესებულებამ უზრუნველყოს მინის კარების დამცავი ფირების უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა.<br>2. დაწესებულებამ უზრუნველყოს დამცავი ბადეების ჩაჭრის მოწყობილობის დამონტაჟება ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისად | | დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზების გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორებთან მიმართებით. |
| | მინის გარე ვიტრაჟთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მდებარეობს მინიმუმ 100 სმ. სიმაღლის დამცავი ბარიერი, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებულია ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის შესაძლებლობას. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | უჩარჩოო მინის კარები და მინის ელემენტების შემცველი კარები მარკირებულია, მინის კარების ფრთები მომიჯნავე მინის კედლებისაგან განსხვავებულად არის მარკირებული. კარების სახელურები კარების ფერთან კონტრასტული ფერისაა | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | მინის კარებზე მარკირება არის ჰორიზონტალურად, ორ სიმაღლეზე - 90 სმ და 150 სმ შესაბამისად.<br>მარკირება არის ძირითად ფონთან კონტრასტული და დატანილი შუშის ორივე მხარეს, რაც ამცირებს ანარეკლს. მარკირების ველი არის არანაკლებ 5 სმ სიგანის. | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ ჯგუფურ უჯრედში ფანჯრის რაფის სიმაღლე იატაკის დონიდან 90 სმ-ზე ნაკლებია, ფანჯრის გარე/შიდა მხრიდან მოწყობილია დამცავი ბარიერი არანაკლებ 100 სმ სიმაღლისა, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებულია ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის საშუალებას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დაწესებულების ყველა იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ხვდებიან და სადაც ფანჯრებზე მოწყობილია გაღების მექანიზმი, მოწყობილია კედლებში მყარად ჩამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის ბარიერი, რომლის მასალა და მოწყობის სპეციფიკაცია უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხოებას და საჭიროების შემთხვევაში, ბადის უმოკლეს დროში ჩაჭრას. ნაქსოვი ბადის კონსტრუქციით გათვალისწინებულ დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ-ს და გათვლილია არანაკლებ 30 კგ-ზე. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული. | | | |
| იმ ფანჯრებზე, სადაც მოწყობილია დამცავი ბადე, ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე განთავსებულია ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობა | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| **კიბის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| კიბის უჯრედი მოპირკეთებულია გლუვი, მოცურების საწინააღმდეგო მასალით, რომელიც ინარჩუნებს თავის თვისებებს სველ მდგომარეობაშიც | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | კიბის უსაფრთხოების მიმართ ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია | | | |
| თუ იატაკის ზედაპირი განსხვავებული დონისაა და წარმოქმნის საფეხურს ან/და თუ შენობის შიდა/გარე კიბის საფეხურები არ არის ერთნაირი გეომეტრიის (საფეხურის ზომების, სიღრმისა და სიმაღლის მიხედვით), კიბის დასაწყისში და დასასრულს და ასევე განსხვავებულ საფეხურზე, საფეხურის მთელ სიგანეზე გამოყენებულია თვითწებვადი ლენტი/კონტრასტული ფერები/განსხვავებული სტრუქტურის მასალა/საფეხურის განათებები/გარჩევადი გამაფრთხილებელი ნიშნები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| დაწესებულებაში კიბის უჯრედის სახელურის სიმაღლე ბავშვებისათვის არის 50 (+ - 5 სმ) სმ. უფროსებისათვის კი არანაკლებ – 85 სმ. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| შენობაში არ არის ხვეული კიბეები (არსებობის შემთხვევაში არ გამოიყენება) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| კიბეს ორივე მხრიდან მიყვება მოაჯირი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას ესაზღვრება კედელი/კედლები) და უწყვეტი სახელური | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| კიბის მოაჯირის კონსტრუქცია არის ვერტიკალური დგარებით ან ბრტყელი ზედაპირით. ვერტიკალური დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. მოაჯირებზე/სახელურზე არ არის წვეტიანი ელემენტები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| თუ კიბის სიგანე 500 სმ-ს აღემატება, კიბეზე განთავსებულია დამატებითი მოაჯირი/მოაჯირები. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **კუთხეების/კოლონების/კედლების უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს აქვთ 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | კუთხეების/კოლონების/კედლების უსაფრთხოების მიმართ ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია | | | |
| კოლონებზე და სხვა მსგავს ბარიერებზე მარკირება განთავსებულია სამ სიმაღლეზე: იატაკის დონეზე და იატაკის დონიდან 90 სმ და 150 სმ-ზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, 200 სმ-ის სიმაღლემდე არ არის ბასრი კიდეები, წვეტიანი გამოშვერილი ნაწილები და არანაირი ისეთი ელემენტები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| შენობის იმ სივრცეებში, სადაც ბავშვები ხვდებიან, მახვილი კუთხის მქონე გამათბობლები დაფარულია ეკრანით ან ცხაურით, რომელთა კონსტრუქციული მოწყობაც უზრუნველყოფს სველი წესით დასუფთავებას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **ინვენტარის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| დაწესებულებაში ბავშვთა თავშეყრის ადგილებში არსებული დენსართები განლაგებულია ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე. იმ დენსართებისთვის, რომლებიც ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია, უზრუნველყოფილია უსაფრთხოების დაცვა | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში ბავშვთა თავშეყრის ადგილებში დენსართები არის დამონტაჟებული ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე, დაფარულია მხოლოდ წებოვანი ლენტით, რომლის აძრობა მარტივად არის შესაძლებელი. სხვა დამცავი არ აქვს. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული. | დაწესებულებამ უზრუნველყოს დენსართების დაფარვა იმგვარად რომ იყოს ბავშვის უსაფრთხოება დაცული. | დაწესებულებას შეუძლია გამოიყენოს სპეციალური დენსართის დამცავი, რომლის მონტაჟი მარტივია და უზრუნველყოფს უსაფრთხოებას | დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზის გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. |
| ნათურები დაფარულია დამცავი ფარით ან გამოყენებულია არამსხვრევადი მასალით დამზადებული ნათურა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| სარკე (არსებობის შემთხვევაში) დამზადებულია დრეკადი მასალით ან სარკის ზედაპირი დაფარულია დამცავი ფირით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| შენობაში ავეჯი მყარად არის დადგმული/მიმაგრებული იატაკზე ან კედელზე და უსაფრთხოა ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| ჯგუფურ ოთახში მაგიდებთან ადგილების რაოდენობა და სკამების რაოდენობა შეესაბამება ჯგუფში ბავშვთა რაოდენობას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **ბავშვისთვის განკუთვნილი მაგიდებისა და სკამების ძირითადი ზომები შეესაბამება ქვემოთ მოცემულ ცხრილს (მოთხოვნილი პროგრამის შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად), არასტანდარტული ბავშვის სიმაღლის ასაკთან შესაბამისად გამოყენებულია მისი სიმაღლის შესაფერისი მაგიდა და სკამი** | | | | | | | | |
| 0-დან 2 წლამდე - მაგიდა 34-38სმ; სკამი18-21სმ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას აქვს 8 მაგიდა, 53 სმ სიმაღლის. 5 სკამი - 25 სმ სიმაღლის, 13 სკამი - 33 სმ სიმაღლის. მოცემული ზომები არ არის შესაბამისი ყველა ასაკობრივი კატეგორიისთვის. დაწესებულებაში არის შერეული ჯგუფი როგროც 2-3 წლის, ასევე 3-4 და 5-6 წლიანი ბავშვებით დაკომპლექტებული. ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული. | დაწესებულებამ უზრუნველყოს ყველა ასაკობრივი კატეგორიისთვის შესაბამისი ზომის ინვენტარი | | დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზების გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორებთან მიმართებით. |
| 2-დან 3 წლამდე მაგიდა 40-44სმ/; სკამი 22-26სმ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| 3- დან 5 წლამდე მაგიდა 46-50სმ; სკამი 27-30სმ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| 5-დან 6 წლამდე მაგიდა 52-56სმ; სკამი 31-35სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **საწოლები ბავშვების ასაკის შესაბამისი ზომისაა:** | | | | | | | | |
| 0-დან 3 წლამდე სიგრძე არანაკლებ 120სმ, სიგანე 60 სმ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| 3-დან 6 წლამდე სიგრძე 140 სმ-ია, სიგანე 60სმ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | 1. დაწესებულებაში არის ერთნაირი საწოლები | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაწესებულებაში უზრუნველყოფილია: მაგარ ძირიანი გასაშლელი საწოლები და ლეიბები/ 1 ან 2-სართულიანი საწოლები ( 30 სმ სიმაღლის დამცავი ზღუდით) და ლეიბები/ სექციური ერთი, ორი ან სამ იარუსიანი საწოლები (რომლის პირველი, მეორე და მესამე იარუსის სიმაღლე ერთად არ აღემატება 125 სმ) და ლეიბები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | რომლის სიგრძეც არის 150 სმ, ხოლო სიგანე 56 სმ. ინდიკატორის მოთსხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.<br>2. დაწესებულებაში არის კომპიუტერი და პრინტერი (სკანერის ფუნქციით), თუმცა არ არის ინტერნეტი. ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.<br>3. დაწესებულებაში არ არის საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათქავსი საფენებისთვის და სათლი ავტომატური სატერფულით. ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული | 1. დაწესებულებამ უზრუნველყოს ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით შესაბამისი ზომის საწოლების მობილიზება 2. დაწესებულებამ უზრუნველყოს ინტერნეტ კავშირი 3. დაწესებულებამ უზრუნველყოს საფენების გამოსაცვლელი მაგიდის, საფენების სათავსის და ავტომატურ სატერფულიანი სათლის მობილიზება დაწესებულებაში | | დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზების გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორებთან მიმართებით. |
| | ჯგუფური ოთახის თაროები და კარადები განთავსებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება აღჭურვილია სულ მცირე ერთი ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერით და მრავალფუნქციური პრინტერით (სკანერის ფუნქციით) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული განათლების პირველ, მეორე და სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ჯგუფების ჯგუფური ოთახის განთავსების სართულზე გათვალისწინებულია საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი საფენებისათვის და სათლი ავტომატური სატერფულით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| **3** | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.** | | | | | | | | |
| 3.1. | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახების რაოდენობა/საერთო სივრცის ფართი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. | | | |
| | ეზოს/გარე სივრცის ფართი | | | | | | | | |
| | აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის ხელსაბანების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის უნიტაზების/ღამის ქოთნების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის სკამებისა და მაგიდების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საძინებელი/მოსასვენებელი სივრცე და საწოლების რაოდენობა | | | | | | | | |
| | გასახდელი სივრცე | | | | | | | | |
| 3.2. | **დაწესებულება ფლობს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით დადგენილ რესურსებს** | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია რომ თითოეულ ბავშვზე ეზოს ფართი უნდა იყოს გათვალისწინებული მინიმუმ 3 კვ მეტრი. თუმცა დაწესებულების მხრიდან არ წარმოდგენილა რაიმე დოკუმენტი რომელშიც განსაზღვრულია ეზოს ფართი, რომელსაც იყენებს დაწესებულება. შესაბამისად ვერ დგინდება ფლობს თუ არა მოცემულ რესურსს დაწესებულება. ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული. | დაწესებულებამ უზრუნველყოს ეზოს ფართის აღწერა და შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა, რათა დადგინდეს სტანდართან მისი შესაბამისობა | | დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და რეკომენდაციით გათვალისწინებული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დაწესებულების მფლობელობაში ეზოს არსებობა ინდიკატორით მოთხოვნილი ფართით. რაც შეეხება ბავშვთა ზღვრული რაოდენობით დადგენილ სხვა რესურსებს, როგორიცაა საბავშვო ზომის მაგიდა და სკამები, საწოლები. მოცემული ხარვეზების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ამავე კითხვარის 2.7 ინდიკატორში. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოცემული ხარვეზების გამოსწორების ვადას და გეგმას, შესაბამისად, ვიზიარებთ დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. |

კითხვარის შევსების პროცესში აღნიშნული ფერით მონიშნული საკითხები არ ფასდება, თუ ის არ არის რელევანტური კონკრეტული დაწესებულებისთვის/დაწესებულების კონკრეტული მისამართისთვის.

მადონა ქეშიკაშვილი 22.10.2025.

**4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი** დანართი №2

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანება<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ახალსოფლის საბავშვო ბაღი | ბრძანების N: MES 8 25 0000745802 (25.06.2025); ცვლილება MES 7 25 0000845026 (09.07.2025) |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალსოფელი. | ვიზიტის თარიღი: 16.07.2025 |

**კრიტერიუმი 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ინდიკატორი 1. დაწესებულება იცავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კითხვარით განსაზღვრულ პირობებს** | შესაბამისია | მეტწილად შესაბამისია | ნაწილობრივ შესაბამისია | არ არის შესაბამისი | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
| | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | 1.კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული 2025 წლის 10 აპრილის ბრძანება N 1090-ით<br>2. ორკვირიანი პერსპექტიული მენიუ და კერძების კარტოთეკა, დამტკიცებული 2025 წლის 10 აპრილის ბრძანება N 1091-ით.<br>ადგილზე წარმოადგენილი დოკუმენტები: 1. კვების განრიგი<br>2. ქიმური შემადგენლობის (ცილა, ცხიმი, ნახშირწყალი) ცხრილი.<br>3. ერთი სეზონის მენიუ ფაქტურა. 4. ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობისა და დიეტური საჭიროებების მქონე ბავშვის კვების ორგანიზების სტანდარტული საოპერაციო პროცედურა; 5. საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, ასევე კვების პროცესში გადაცდენის რისკის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების მეთოდები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესების შესახებ სოპ-ი. 6. საკვები პროდუქტებისა და კერძების ხარისხის კონტროლის სოპ-ი. 7. არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა("შესაბამისობის გეგმა"). |
| სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ხანგრძლივობა | 9-ზე მეტი საათი | 5-დან 9 საათამდე | 3.5-დან 5 საათამდე 5 საათამდე | არაუმეტეს 3.5 საათისა | |
| | | V | | | |
| კვების უზრუნველყოფის ფორმა | სტაციონალური კვებითი უზრუნველყოფა | სატელიტური სამზარეულო | მზა კერძების შესყიდვა ინდივიდუალური შეფუთვით | ჰიბრიდული მოდელი | |
| | V | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **მოთხოვნები კვების პროცესის ორგანიზებისადმი** | | | | | | | | |
| 1.1 | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს:** | | | | | არ არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნა : დაწესებულების მიერ დამტკიცებული კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი არ მოიცავს . ქიმიური შემადგენლობის (ცილა, ცხიმი, ნახშირწყალი) ცხრილს და ჩანაცვლების ცხრილს. მოთხოვნის შესაბამისად ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა ქიმიური შემადგენლობის ცხრილი. | ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი, ყველა სავალდებულო ინფორმაციის გათვალისწინებით (ქიმიური შემადგენლობებისა და ჩანაცვლების ცხრილი). | | დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა- მარეგულირებელი წესის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე 12 თვის ვადაში: 2026 წლის ოქტომბრამდე. |
| | მენიუს შემუშავება (მათ შორის დამტკიცებული მენიუს დღიური ცვლილების შესაძლებლობა ენერგეტიკული ღირებულების შენარჩუნებით და 0-1 წლამდე ბავშვების კვების მექანიზმი (საჭიროების შემთხვევაში)) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუს უზრუნველყოფის ფორმის რეგულირება (ადგილზე დამზადება/ მზა საკვების შესყიდვა/სხვ.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვის კვება (კვებითი აუტანლობის ან მძიმე ალერგიის რისკის მქონე ბავშვის თაობაზე ინფორმაციის შეგროვების მეთოდები; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის საკვებით უზრუნველყოფის შემთხვევაში მისი გამოყენების და უსაფრთხოების საკითხები; ბავშვებისთვის, რომელთაც წარსულში ჰქონიათ ანაფილაქსია ან სხვა მძიმე ალერგიული რეაქცია, გადაუდებელ შემთხვევებში ქმედების ზუსტი გეგმა) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | პროდუქტების და მზა კერძების ხარისხის კონტროლი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, ასევე, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების მეთოდები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.2 | დამტკიცებული, იმ პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები) ცხრილი, რომლითაც ხელმძღვანელობს მენიუს შემუშავების დროს | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.3 | დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 10 დღიანი/2 კვირიანი პერსპექტიული მენიუ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.4 | დაწესებულებას შედგენილი აქვს 10 დღიანი/2კვირიანი პერსპექტიული მენიუს შესაბამისი კერძების კარტოთეკა, რომელიც სავალდებულოდ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:<br>ა) კერძის ინდივიდუალური ბარათი;<br>ბ) მომზადების ტექნოლოგია (რეცეპტი და მომზადების წესი);<br>გ) კერძის ენერგეტიკული ღირებულება (კალორიულობა);<br>დ) ქიმიური შემადგენლობა (ცილა,ცხიმი,ნახშირწყალი);<br>ე) პროდუქტის დამუშავების დანაკარგები (ბრუტო/ნეტო);<br>ვ)თითოეული კერძის გამოსავალი (გასაცემი ულუფის ზომა);<br>ზ)პროდუქტების განწილვის ცხრილი ერთ ბავშვზე გაანგარიშებით. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2** | | | | | | | | | |
| | კვების პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ დაწესებულებაში ჯგუფისთვის კვების მიწოდება ხდება ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს, რაც დასტურდება დღის განრიგით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | მარეგულირებელი წესის მიხედვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შემოდგომა -ზამთარის და გაზაფხულის მენიუ. თუმცა წარმოადგინეს მხოლოდ ერთი სეზონის დამტკიცებული მენიუ, მექანიზმში გაწერილი და წარმოდგენილი დოკუმენტები არ არის შესაბამისობაში. წარმოდგენილი დღის განრიგითა და პასუხისმგებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუთი დასტურდება, რომ კვების მიწოდება ხდება ერთსა და იმავე დროს, სასწავლო- | ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს მარეგულირებელ წესით განსაზღვრული ორივე სეზონის მენიუ და შესაბამისი დიკუმენტაცია სრულად. | | დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა- სეზონური მენიუს შემუშავების თაობაზე 5 თვის ვადაში (2026 წლის თებერვლის ჩათვლით), რისთვისაც დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ფინანსური და ადამიანური რესურსი (გაერთიანების ბიუჯეტი, ნუტრიციოლოგის კონსულტაცია) |
| | კვების მიწოდების ჯერადობა, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, შეესაბამება შემდეგ განაწილებას:<br><br>9 საათზე მეტი - 2 ან 3 ძირითადი კვება და 2 ან 3 წახემსება<br>9 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 2 წახემსება (მიწოდებული 4 ჯერადად ან 3 ჯერადად)<br>5 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 1 წახემსება<br>3.5 საათამდე - 1 ძირითადი კვება და 1 წახემსება | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
